საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის
ბრძანება

MES 0 23 0000068051

24/01/2023

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დაგეგმვის, კვლევისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის კოორდინატორის (კვლევის მიმართულებით) ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-6 პუნქტის, 35-ე მუხლის, 36-ე მუხლის, 39-ე მუხლის, მე-40 მუხლის პირველი პუნქტის, 41-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, 42-ე მუხლის, 43-ე მუხლის, 126^1 მუხლის პირველი, მე-2 და მე-4 პუნქტების, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის, მე-6 მუხლის პირველი პუნქტის, მე-7 მუხლის პირველი პუნქტის, მე-9 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-18 მუხლის მე-8 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს კონკურსი სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დაგეგმვის, კვლევისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის კოორდინატორის (კვლევის მიმართულებით) ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად.
2. კონკურსში მონაწილეობისთვის განაცხადის წარდგენის ვადა განისაზღვროს სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე (www.hr.gov.ge) კონკურსის გამოცხადებიდან 10 კალენდარული დღის ოდენობით, 2023 წლის 26 იანვრიდან 2023 წლის 04 თებერვლის ჩათვლით.
3. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ვაკანტურ თანამდებობაზე სარგო განისაზღვრება 2299 (ორი ათას ორას ოთხმოცდაცხრამეტი) ლარის ოდენობით.

4. ცენტრის დაგეგმვის, კვლევისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის კოორდინატორის (კვლევის მიმართულებით) თანამდებობაზე კონკურსი გამოცხადდეს 1 (ერთი) ადგილზე.
5. სამუშაოს ტიპი - სრული განაკვეთი.
6. გამოსაცდელი ვადა - 6 თვე.
7. ცენტრის დაგეგმვის, კვლევისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის კოორდინატორის (კვლევის მიმართულებით) მიმართ დადგინდეს შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:
ა) განათლება - მაგისტრი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი (სასურველია განათლების, ბიზნესის ადმინისტრირების, ეკონომიკის ან/და სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების მიმართულებით);
ბ) კვლევის მიმართულებით მუშაობის არანაკლებ 2-წლიანი გამოცდილება;
გ) ინგლისური ენის (წერა და მეტყველება) ფლობა - C1 დონეზე, ქართული ენის (წერა და მეტყველება) ფლობა - C2 დონეზე;
დ) კომპიუტერული (საოფისე) პროგრამების (Ms. Word, Ms. Excel, Ms. PowerPoint, SPSS) კარგად ცოდნა, რაც დასტურდება წარმოდგენილი რეზიუმეთი.
8. კონკურსში მონაწილე კანდიდატს მოეთხოვება შემდეგი საკონკურსო თემატიკის ცოდნა:
ა) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
ბ) საქართველოს კანონი „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ";
გ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის რეორგანიზაციის გზით საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ".
9. ცენტრის დაგეგმვის, კვლევისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის კოორდინატორის (კვლევის მიმართულებით) მიერ შესასრულებელი სამუშაოს აღწერა:
ა) განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის გარე მექანიზმების განხორციელებასთან დაკავშირებული კვლევების (თემატური ანალიზი) საჭიროების განსაზღვრის და სხვა კვლევითი პროექტების განხორციელების კოორდინაცია;
ბ) კვლევითი პროექტების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესისთვის საჭირო მხარდამჭერი ღონისძიებების (კონსულტაციები, ტრენინგები და სხვა) განხორციელების კოორდინაცია;
გ) შესრულებული კვლევების ეფექტურობის ანალიზისა და კონტროლისთვის საჭირო სამუშაოთა განხორციელების კოორდინაცია;
დ) კვლევის ანგარიშების მომზადების პროცესის კოორდინაცია;
ე) ცენტრის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან კოორდინაციით კვლევის შედეგების მომზადება ადგილობრივ და საერთაშორისო პუბლიკაციებში გამოსაცემად და ცენტრის ვებ-გვერდზე;
ვ) დაინტერესებული მხარეების მიერ ცენტრის სერვისების შეფასების მექანიზმების შემუშავების, განხორციელების და ანალიზის პროცესის კოორდინაცია;
ზ) ცენტრის საქმიანობასთან დაკავშირებული საერთაშორისო შეფასების განხორციელების კოორდინირება;
თ) ბოლონიის პროცესში მონაწილეობით აღებული ვალდებულებების შესრულების და ევროინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით, ცენტრის კომპეტენციის ფარგლებში, განათლების სფეროში შესაბამისი ცვლილებების გახორციელებისა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეფასების პროცესის კოორდინაცია;
ი) საერთაშორისო პარტნიორი ორგანიზაციების რეკომენდაციების საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში გავრცელების მიზნით, ინფორმაციის შეგროვების და ანალიზის პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების კოორდინაცია;

კ) ცენტრის საჭიროებიდან გამომდინარე, ცენტრის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან კოორდინაციით დონორი ორგანიზაციებისთვის კვლევითი საპროექტო წინადადებების მომზადების პროცესის კოორდინაცია;
ლ) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების ეფექტიანად განსახორციელებლად ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის და საორგანიზაციო სამმართველოსთან თანამშრომლობა;
მ) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ცენტრის სხვა სტრუქტურული ერთეულებისა და დაინტერესებული პირების ინფორმირება, შესაბამის საკითხებზე კონსულტაციების გაწევა და დაგეგმილ ტრენინგებში მონაწილეობა;
ნ) სამსახურის ფუნქციებიდან გამომდინარე მიღებული კორესპონდენციის გაცნობა და პასუხების მომზადება;
ო) კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით საკუთარი საქმიანობის ანალიზი, საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებისა და ეფექტიანობის გაზრდისთვის სამსახურის უფროსისთვის/სამსახურის უფროსის მოადგილისთვის წინადადებების შემუშავება;
პ) ხელმძღვანელის სხვა დავალებების შესრულება, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.
10. კონკურსში მონაწილე კანდიდატს უნდა გააჩნდეს შემდეგი უნარები:
ა) საქმიანობის დაგეგმვა და კოორდინაცია;
ბ) დროის ეფექტური მართვა;
გ) ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია;
დ) ანალიტიკური აზროვნება;
ე) გუნდური მუშაობა.
11. კონკურსში მონაწილე კანდიდატი ვალდებულია:
ა) კონკურსში მონაწილეობისთვის განაცხადი და დოკუმენტაცია წარმოადგინოს მხოლოდ ელექტრონული ფორმით საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის - www.hr.gov.ge - მეშვეობით;
ბ) შესაბამის ველში ატვირთოს უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (დიპლომი ან/და ცნობა შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე) ასლი;
გ) მიუთითოს 2 რეკომენდატორის ვინაობა (სახელი, გვარი, სამუშაო ადგილი, ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი);
დ) წარმოადგინოს სამოტივაციო წერილი, რომელშიც უნდა ჩანდეს თუ რატომ სურს კანდიდატს აღნიშნულ თანამდებობაზე მუშაობა, მისი პიროვნული თვისებები, სამუშაო გამოცდილებასთან დაკავშირებული პროფესიული უნარ-ჩვევები, რომლებიც დაეხმარება მას მუშაობაში.
12. კონკურსი ჩატარდეს 3 ეტაპად:
ა) კონკურსში მონაწილეობისათვის წარდგენილი განაცხადების ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;
ბ) კანდიდატის შეფასება;
გ) კონკურსის შედეგების გამოცხადება.
13. კანდიდატთა შეფასება განხორციელდეს გასაუბრების საფუძველზე, საკონკურსო თემატიკის ცოდნის, ანალიტიკური აზროვნების უნარის, ზეპირი კომუნიკაციის უნარის, მოტივაციისა და ინგლისური ენის კომპეტენციის გათვალისწინებით, დანართის შესაბამისად.
14. საკონკურსო კომისია საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს ქულათა სისტემის საფუძველზე, განაცხადების წარდგენის ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 თვის ვადაში.
15. საკონკურსო კომისიის მისამართი და საკონტაქტო ინფორმაცია: სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, საქართველო, თბილისი 0193, მერაბ ალექსიძის ქ. მეორე შესახვევი №2; ტელეფონი - (+995 32) 2 200 220.
16. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ვებგვერდის - www.hr.gov.ge - მეშვეობით კონკურსის გამოცხადების უზრუნველყოფა.

17. დაევალოს ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის და საორგანიზაციო სამმართველოს ამ ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე - www.eqe.ge - გამოქვეყნების უზრუნველყოფა.
18. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ამ ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.
19. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
დირექტორი
მახარაშვილი თამარ